



სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის  
ბენეფიკარული დირექტორის

ბრძანება № 72

ქ. თბილისი

04 ივნისი 2018წ.

„2018 წლის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების საგრანტო კონკურსის  
გამოცხადების შესახებ“ სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის  
გენერალური დირექტორის 2018 წლის 5 აპრილის N39 ბრძანებაში ცვლილების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „საჯარო სამართლის  
იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის  
დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების  
მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2  
პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული  
სამეცნიერო ფონდის ტექნოლოგიური განვითარებისა და საინფორმაციო უზრუნველყოფის  
სამსახურის უფროსის სამსახურებრივი ბარათის (N657499, 04.05.2018) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება 2018 წლის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების  
საგრანტო კონკურსის გამოცხადების შესახებ“ სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული  
სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2018 წლის 5 აპრილის N39 ბრძანებაში და ბრძანების  
მე-2 პუნქტით დამტკიცებული პირველი დანართის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“  
ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:  
„ა) პროექტის რეგისტრაცია ელექტრონულ ბაზაში <http://gmus.rustaveli.org.ge>- 2018 წლის 1 ივნისიდან -  
21 ივნისის 16:00 საათამდე;  
ბ) რეგისტრაცია ფონდის კანცელარიაში - კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადების წარდგენა  
ფონდის კანცელარიაში 2018 წლის 22 ივნისის 16:00 საათამდე.“
2. დაევალოს სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში -  
ფონდი) საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების  
ფონდის ვებგვერდზე განთავსება;
3. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო  
სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

მანანა მიქაბერიძე